დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109230581**
თარიღი:**27/02/2023**

დმანისი მუნციპალიტეტის მერისთვის „ მერების შეთანმებასთან“ მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 54 მუხლის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს ხელი მოაწეროს „მერების შეთანმებასთან“ მიერთების ფორმას (დანართი თან ერთვის);

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

EU4Energy

Covenant of Mayors
for Climate & Energy
Eastern Partnership

მერების შეთანხმება - აღმოსავლეთი

უკეთესი, კლიმატ-ნეიტრალური ევროპისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონისთვის

ჩვენ, მერები აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონიდან, ამიერიდან ვზრდით ჩვენს კლიმატურ ამბიციებს და ვიღებთ ვალდებულებას ვიმოქმედოთ მეცნიერების მიერ ნაკარნახევი სიჩქარით რათა ერთობლივი ძალისხმევით, პარიზის შეთანხმების შესაბამისად, შევძლოთ შევინარჩუნოთ გლობალური ტემპერატურის ზრდა 1,5C^0 ქვემოთ.

უკვე წლებია, რაც ქალაქები კლიმატურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს შესაძლებლობებად გარდაქმნიან. და დროა, რომ ეს ქმედებები უმთავრეს პრიორიტეტად წარმოჩინდნენ.

ჩვენ, როგორც მერების შეთანხმება - აღმოსავლეთი-ს ხელმომწერები ვიღებთ ვალდებულებას, რომ ნებისმიერს მივცეთ შესაძლებლობა შემოგვიერთდეს. ვეცდებით, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული შესაბამისი პოლიტიკა და პროგრამები იქნება ყოვლისმომცველი და არავინ და არაფერი არ დარჩება მათ მიღმა. აღმოსავლეთ პარტნიორობის კლიმატ-ნეიტრალურ რეგიონად გარდაქმნა გავლენას მოახდენს საზოგადოების ყველა სფეროებზე. ჩვენ, როგორც ადგილობრივმა ლიდერებმა, ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი ამ პროცესს, რათა უზრუნველვყოთ სამართლიანობა და ინკლუზიურობა. ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ სამართლიანი და ინკლუზიური გარდაქმნა, რაც უზრუნველყოფს მსოფლიოს მოქალაქეების ღირსეულ ყოფას და ჩვენი პლანეტის რესურსებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას.

ჩვენი ხედვაა, რომ 2050 წლისთვის ყველამ ვიცხოვროთ უნახშირბადო და მედეგ ქალაქებში, უსაფრთხო და სუფთა ენერგიაზე ხელმისაწვდომობით. ჩვენ, მერების შეთანხმება - აღმოსავლეთის ფარგლებში ვიმოქმედებთ, რათა (1) შევამციროთ ჩვენს ტერიტორიაზე სათბური აირის ემისიები; (2) გავზარდოთ მედეგობა და მოვემზადოთ კლიმატის ცვლილების არასასურველი ზემოქმედებისთვის; ასევე, ვაქციოთ (3) ენერგეტიკულ სიღარიბესთან ბრძოლა, სამართლიანი გადაქმნის ერთ-ერთ საკვანძო წინაპირობად.

სრულად ვაცნობიერებთ, რომ სხვადასხვა რეგიონი და ქალაქი გადაქმნის განსხვავებულ ეტაპზე იმყოფება და თითოეულ მათგანს გააჩნია ასევე განსხვავებული შესაძლებლობა, რათა უპასუხონ პარიზის შეთანხმებაში ასახულ ამბიციებს. ჩვენ, კიდევ ერთხელ ვაღიარებთ ერთობლივ პასუხისმგებლობას კლიმატის კრიზისთან გასამკლავებლად. აღნიშნული გამოწვევა მმართველობის ყველა დონისგან მოითხოვს ძლიერ, საპასუხო პოლიტიკურ გეგმას. მერების შეთანხმება - აღმოსავლეთით, უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს საქმისადმი ერთგული მერების მოძრაობას, რომლებიც ადგილობრივი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის გაცვლით შთააგონებენ ერთმანეთს დასახული მიზნის მისაღწევად.

ვაღიარებთ ჩვენს წილ პასუხისმგებლობას შემდეგი ქმედებების განხორციელებით: ვივალდებულოთ, ევროკავშირის ამოცანების შესაბამისი საშუალო და გრძელვადიანი სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა, რომელიც არ ჩამოუვარდება შესაბამის ეროვნული მაჩვენებელებს. ჩვენი ამოცანაა, შუალედური სამიზნის - 2030 წლისთვის

EU4Energy

Covenant of Mayors for Climate & Energy Eastern Partnership

სათბურის აირების ემისიის მინიმუმ 35%-იანი შემცირების უზრუნველყოფით, 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევა. ამჟამინდელი საგანგებო კლიმატური მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენს პრიორიტეტად ვაქცევთ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საქმიანობას და მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ჩვენს მოქალაქეებთან.

ჩავრთოთ ჩვენი მოქალაქეები, ბიზნესის და ყველა დონის სახელისუფლებლო ორგანოების წარომადგენელები ამ ხედვის განხორციელებაში და ასევე სოციალურ-ეკონომიკური სისტემების გარდაქმნაში. ჩვენი მიზანია შეგვიმუშავოთ ადგილობრივი კლიმატის პაქტი ყველა იმ მონაწილესთან ერთად, რომლებიც დაგვეხმარებიან დასახული მიზნების მიღწევაში.

ვიმოქმედოთ, ერთობლივად და დაუყოვნებლივ, რათა დავაჩქაროთ სავალდებულო გადაქმნის პროცესი. ჩვენ, დასახული ამოცანების მისაღწევად დადგენილ ვადებში შევიმუშავებთ სამოქმედო გეგმას, განვახორციელებთ ღონისძიებებს და წარვადგენთ შესრულების ანგარიშებს. ჩვენი გეგმები შემუშავდება კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მის შედეგებთან შეგუების დებულებების შესაბამისად, მაქსიმალური ჩართულობის პირობებში.

ვითანამშრომლოთ სხვა მერებთან და ადგილობრივ ლიდერებთან აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ, რათა შთავაგონოთ ერთმანეთი. მოვუწოდებთ მათ გაწევრიანდნენ „მერების შეთანხმების გლობალურ“ მოძრაობაში მსოფლიოს მასშტაბით, მათი მდებარეობის მიუხედავად, თუკი იზიარებენ ზემოაღწერილ მიზნებსა და ხედვას.

ჩვენ, მერების შეთანხმება - აღმოსავლეთის ხელმომწერები, ვადასტურებთ, რომ შეგვიძლია გადავდგათ ქმედითი ნაბიჯები ახლავე (ვალდებულება, ჩართულობა, ქმედება, თანამშრომლობა) დღევანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ჩვენ ვიმუშავებთ საკუთარი ხედვის განსახორციელებლად. ვიმედოვნებთ, რომ ეროვნული ხელისუფლება და ევროპული ინსტიტუციები დაგვეხმარებიან ჩვენი ამბიციების განხორცილებისთვის საჭირო პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით.

ვალდებულების ხელმომწერის სახელი, გვარი და წოდება
მუნიციპალიტეტის საკრებულოს ან მასთან გათანაბრებული
დღე / თვე / წელი

_____

(ხელმოწერა)

ხელმომწერი ორგანოს დასახელება და სრული მისამართი
საკონტაქტო პირის სახელი, ელექტრონული ფოსტა და ტელეფონის ნომერი

GLOBAL COVENANT of MAYORS for CLIMATE & ENERGY